ბრძანება:**ბ10. 10263005**

თარიღი:**27/10/2026**

აბაშის მუნიციპალიტეტის ქონების საკუთრების უფლებით გადაცემის (პრივატიზება) მიზნით პირობებიანი ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ლ.“ ქვეპუნქტის, 118-ე მუხლის პირველი პუნქტის, 119-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „აბაშის მუნიციპალიტეტის ქონების 2026 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 27 თებერვლის №10 და „აბაშის მუნიციპალიტეტის ქონების 2026 წლის პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 27 თებერვლის №11 განკარგულებების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. აბაშის მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების საკუთრების უფლებით გადაცემის (პრივატიზება) მიზნით განმეორებით ჩატარდეს პირობებიანი ელექტრონული აუქციონი და პრივატიზებული იქნას შემდეგი ქონება (საწყისი საპრივატიზებო საფასურის 70%):

1.1 აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების, ექსპლუატაციაში ნამყოფი, 2006 წელს გამოშვებული **KAMAZ 53229-ის** მარკის **„ცისტერნის“** (სახ. ნომერი HH-341-HP, ტექ.პასპ. DV3243941, საიდენტიფიკაციო ნომერი VIN: „XTC53229R62282613“), საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს **19040.00 (ცხრამეტიათასორმოცი)** ლარის ოდენობით, რაც შეადგენს აღნიშნული მოძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურის - 27 200,00 (**ოცდაშვიდიათასორასი**) ლარის - 70%-ს. ბიჯის ოდენობა განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო საფასურის 5%-ი, ხოლო უპირობო და გამოუხმობი საგარანტიო თანხის (ბე) ოდენობა განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო საფასურის 20%-ის ოდენობით.

1.2 აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონება, ექსპლუატაციაში ნამყოფი, 1994 წელს გამოშვებული **MERSEDES BENZ C180** სედანი (სახ. ნომერი AD-315-DD, საიდენტიფიკაციო ნომერი VIN: ,,WDB2020181A107727“, ტექ.პასპ. EV0969244), საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს **1750.00 (ერთიათასშვიდასორმოცდაათი)** ლარის ოდენობით, რაც შეადგენს აღნიშნული მოძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურის - 2500.00 (**ოცდახუთიათასი**) ლარის - 70%-ს. ბიჯის ოდენობა განისაზღვროს მისი საწყისი საპრივატიზებო საფასურის 5%-ის ოდენობით, უპირობო და გამოუხმობი (საგარანტიო თანხა) ბე-ს ოდენობა

განისაზღვროს მისი საწყისი საპრივატიზებო საფასურის 20%-ის ოდენობით.

1.3 აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რეგისტრირებული მოძრავი ქონება, ექსპლუატაციაში ნამყოფი, 2001 წელს გამოშვებული **სატკეპნი SAKAI TS200**, (სახ. ნომერი DD-407-T, შასი TTS623243, ტექ.პასპ. DV3242944), საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს **35000.00 (ოცდათხუთმეტიათასი)** ლარის ოდენობით, რაც შეადგენს აღნიშნული მოძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურის - 50000,00 **(ორმოცდაათიათასი)** ლარის - 70%-ს. ბიჯის ოდენობა განისაზღვროს მისი საწყისი საპრივატიზებო საფასურის 5%-ის ოდენობით, უპირობო და გამოუხმობი (საგარანტიო თანხა) ბე-ს ოდენობა განისაზღვროს მისი საწყისი საპრივატიზებო საფასურის 20%-ის ოდენობით.

2. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება; იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონული აუქციონი არ შედგა იმ მიზეზით, რომ ელექტრონულ აუქციონში რეგისტრირებული პირები, რომლებმაც გადაიხადეს ბე ან წარადგინეს/ გააქტიურეს (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, არ მიიღებენ მონაწილეობას ვაჭრობაში, ელექტრონული აუქციონის მონაწილეების მიერ გადახდილი ბე ან წარდგენილი/გააქტიურებული (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია სრულად ირიცხება აბაშის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში;

3. ბრძანებაში მითითებული აბაშის მუნიციპალიტეტის ქონების პირობებიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით საკუთრებაში გადაცემა განახორციელოს აბაშის მუნიციპალიტეტის ქონების და საკუთრების უფლებით გადაცემის (პრივატიზების) მიზნით პირობებიანი ელექტრონული აუქციონის ჩატარებისთვის მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიამ;

4. მუნიციპალიტეტის ქონების პირობებიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება და ვაჭრობა მიმდინარეობს ვებგვერდზე www.eauction.ge;

5. ელექტრონული აუქციონის დასაწყისად ითვლება მისი შესაბამის ვებგვერდზე (www.eauction.ge.) გამოცხადების მომენტი, აუქციონის გამოცხადების მომენტიდან 10 (ათი) კალენდარული დღით, ხოლო არასამუშაო დღის დამთხვევისას, აუქციონის დასრულების დღედ განისაზღვროს მომდევნო პირველი სამუშაო დღე;

6. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს მერის მოადგილეს გ. ჯვარელიას;

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში. სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ.სენაკი,რუსთაველის ქ N 247);

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

გიგლა ჯვარელია

აბაშის მუნიციპალიტეტის მერია-მერი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი